თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს

დადგენილება №69

2011 წლის 11 მარტი

ქ. რუსთავი

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის ურბანული დაგეგმარებისა და ტრანსპორტის განვითარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად.

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1.

დამტკიცდეს თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის ურბანული დაგეგმარებისა და ტრანსპორტის განვითარების სამსახურის დებულება წარმოდგენილი სახით (დანართი 1).

მუხლი 2.

ძალადაკარგულად გამოცხადდეს თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2009 წლის 31 მარტის №231 დადგენილება.

მუხლი 3.

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე კ. გურგენიძე

შეტანილი ცვლილებები:

1. თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2011 წლის 6 აპრილის დადგენილება №77 - ვებგვერდი, 11.04.2011 წ.

დანართი 1

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის ურბანული დაგეგმარებისა

და ტრანსპორტის განვითარების სამსახურის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1.

1. თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის ურბანული დაგეგმარებისა და ტრანსპორტის განვითარების სამსახური (შემდგომში _ სამსახური) შექმნილია „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის და თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის დებულების საფუძველზე.

2. სამსახური თავის საქმიანობისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით და სხვა კანონებით, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, აგრეთვე თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს

და მერიის დებულებებით, ამ დებულებით.

3. სამსახური წარმოადგენს თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც მის კომპეტენციაში შემავალი ფუნქციების განხორციელებისას მოქმედებს მერიის სახელით.

4. სამსახურის საქმიანობის მეთოდური ხელმძღვანელობა ხორციელდება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შესაბამისი სამსახურის მეშვეობით.

5. სამსახურს აქვს ბლანკი, შტამპი და ბეჭედი, აგრეთვე ამ სტატუსის მქონე სამსახურისთვის ნებადართული სხვა რეკვიზიტები. ბეჭდით სარგებლობის ფარგლებს განსაზღვრავს საკრებულოს მიერ დამტკიცებული შესაბამისი წესი.

6. კონტროლს სამსახურის საქმიანობაზე ახორციელებს საკრებულოს შესაბამისი კომისია.

7. სამსახურის მისამართია: საქართველო, 3700, ქალაქი რუსთავი, მერაბ კოსტავას გამზირი №20.

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2011 წლის 6 აპრილის დადგენილება №77 - ვებგვერდი, 11.04.2011 წ.

თავი II. სამსახურის ფუნქციები

მუხლი 2. სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

1. მოქმედი კანონმდებლობით თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიისათვის განსაზღვრულ უფლებამოსილებათა ფარგლებში სამსახურს მშენებლობისა და სივრცითი მოწყობის სფეროში გააჩნია შემდეგი ფუნქციები:

ა) ურბანული ქალაქგეგმარების განვითარება, მისი ხარისხის ამაღლება;

ბ) დარგის საქმიანობის მომწესრიგებელი საკანონმდებლო აქტების შესრულება;

გ) არქიტექტურულ-გეგმარებითი სამუშოების და საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავების ორგანიზაცია;

დ) შენობა-ნაგებობების პროექტების განხილვა, საჭიროებისას საკრებულოს შესაბამის კომისიასთან შესათანხმებელად წარდგენა;

ე) ქალაქის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვისა და ქალაქმშენებლობის დოკუმენტების შემუშავება;

ვ) მშენებლობის ნებართვის გასაცემად ადმინისტრაციული წარმოების ჩატარება და დასკვნის მომზადება;

ზ) შენობა-ნაგებობის ვარგისიანად აღიარებისათვის (ექსპლუატაციაში მიღება) ადმინისტრაციული წარმოების ჩატარება და დასკვნის მომზადება;

თ) ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების შესაბამისი დასკვნის საფუძველზე, მოქმედი კანონმდებლობით დამტკიცებული ტექნიკური დოკუმენტაციის და ფინანსირების შესაბამისად, მენაშენეზე სამშენებლო-სამონტაჟო, სარემონტო და სარეკონსტრუქციო სამუშაოსთვის, აგრეთვე ექსპლუატაციაში მისაღებად საჭირო ნებართვის თაობაზე საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანების პროექტის მომზადება;

ი) ქალაქის დაგეგმარების, განაშენიანების, კეთილმოწყობის, გამწვანების, რეკონსტრუქციის, რესტავრაციის, საქალაქო დიზაინის საკითხთა მარეგულირებელი ნორმების და წესების დამუშავებაში მონაწილეობა. პროექტებისა და მშენებლობის ნორმების სრულყოფისათვის საჭირო წინადადებების მომზადება და ინიციატივების გამოჩენა ქალაქის იერსახის გაუმჯობესების მიზნით, აგრეთვე მათი წარდგენა საკრებულოს შესაბამის კომისიაში ან/და პროფესიული კონსულტაციის და მეთოდური მითითებების მისაღებად საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ურბანიზაციისა და მშენებლობის დეპარტამენტში;

კ) შენობების ფასადების არქიტექტურული იერსახის განსაზღვრა;

ლ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად (საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე) მიწათსარგებლობის შესახებ წინადადებათა მომზადება ქალაქის საკრებულოსთვის. მშენებლობებისთვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთების დანიშნულებით გამოყენებაზე ქმედითი

კონტროლის განხორციელება;

მ) საპროექტო დოკუმენტაციის უვადო დაცვის ერთიანი ტექნიკური არქივის შექმნა;

ნ) არქიტექტურულ, სამშენებლო და ურბანულ სფეროში რუსთავის ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაფუძნებული და თვითმმართველობის მართვაში არსებული იურიდიული პირების საქმიანობაში მეთოდური კონსულტანტის სტატუსით მონაწილეობის მიღება.

2. საქალაქო ტრანსპორტის სფეროში სამსახურის ძირითადი ამოცანებია:

ა) საერთო სარგებლობის ადგილობრივი სამგზავრო ტრანსპორტის სფეროში ერთიანი პოლიტიკის გატარება, ორგანიზება, მართვა და რეგულირება;

ბ) სატრანსპორტო ნაკადებისა და მოსიარულეთა მოძრაობის ორგანიზების სრულყოფა;

გ) ადგილობრივი სამგზავრო ტრანსპორტის გამართული და სტაბილური ფუნქციონირებისათვის კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა;

დ) მომხმარებელთა კანონიერი უფლებების დაცვა და მგზავრობის მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფა;

ე) საქალაქო ტრანსპორტის სფეროს რეაბილიტაცია-განვითარების ღონისძიებების შემუშავება და მათი რეალიზაციის ხელშეწყობა;

ვ) ადგილობრივი სამგზავრო გადაყვანის რეგულირება საკრებულოს მიერ დადგენილი წესით, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე;

ზ) თვითმამრთველობის მიერ დაფუძნებული და თვითმმართველობის მართვაში არსებული ტრანსპორტის სფეროს მიკუთვნებული საწარმოების საქმიანობის კოორდინაცია;

თ) საერთო სარგებლობის გზებზე სატრანსპორტო საშუალებებისა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობის ორგანიზაციის გასაუმჯობესებელ ღონისძიებათა შესახებ წინადადებების შემუშავება, საკრებულოში დასამტკიცებლად მათი წარდგენა, ხოლო შემდგომში მათი დანერგვა და შესრულება;

ი) ქალაქის მიწისზედა სამგზავრო ტრანსპორტის ერთიანი სამარშრუტო სქემის შემუშავება და დასამტკიცებლად საკრებულოში წარდგენა, მისი პერიოდული შესწავლა და სქემების ოპტიმიზაციის მიზნით შესაბამისი წინადადებების მომზადება;

კ) მოქმედი კანონმდებლობით, საკრებულოს სამართლებრივი აქტებით თუ დავალებებით მისთვის დაკისრებული სხვა ფუნქციების შესრულება;

ლ) კანონმდებლობით დადგენილი წესით ფიზიკურ და იურიდიულ პირთა განცხადებების განხილვა და ადმინისტრაციული წარმოების განხორციელება.

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2011 წლის 6 აპრილის დადგენილება №77 - ვებგვერდი, 11.04.2011 წ.

თავი III. სამსახურის უფლებები და მოვალეობები

მუხლი 3. სამსახურის უფლებამოსილებები

1. დასახული მიზნებისა და საქმიანობის ძირითადი მიმართულებების რეალიზებისას მოქმედი კანონმდებლობით, საკრებულოს აქტებით, სხვა სათანადო ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნების, წესებისა და კომპეტენციის ფარგლებში, სამსახური უფლებამოსილია:

ა) მოითხოვოს და შეუფერხებლად მიიღოს მის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების გადასაწყვეტად საჭირო ნებისმიერი ინფორმაცია, საჭიროების შემთხვევაში, ცალკეული საკითხის განხილვის, დაზუსტებისა და დამუშავების მიზნით მოიწვიოს მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოების წარმომადგენლები და მოსთხოვოს საჭირო ინფორმაცია;

ბ) სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე მოამზადოს თათბირები და სხვა ორგანიზაციული ღონისძიებები, საჭიროების შემთხვევაში კონსულტაციისთვის მოიწვიოს ექსპერტი;

გ) სამსახურის ინტერესებიდან გამომდინარე, დადგენილი წესით, მოამზადოს შესაბამისი დოკუმენტაციის პროექტები და წარადგინოს ისინი დანიშნულებისამებრ;

დ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით, საკრებულოს აქტებით ან დავალებით, სამსახურის დებულებითა და ქალაქის მერის დავალებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებანი.

მუხლი 4. სამსახურის მოვალეობები

1. სამსახური ვალდებულია:

ა) გაწეული საქმიანობის შესახებ, დადგენილი წესით ან/და მოთხოვნის საფუძველზე, წარუდგინოს ანგარიში და სხვა სახის ინფორმაცია ქალაქის მერს, საკრებულოს, საკრებულოს კომისიებს;

ბ) კეთილსინდისიერად შეასრულოს დაკისრებული ფუნქციები, პასუხი აგოს თავისი ფუნქციების არაჯეროვნად შესრულებაზე კანონმდებლობით დადგენილი წესით, იკისროს პასუხისმგებლობა თავისი კომპეტენციის ფარგლებში მომზადებული „ვალდებულების დოკუმენტის“ მართებულობაზე;

გ) მიიღოს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა განცხადებები და შუამდგომლობები, დადგენილ ვადებში განიხილოს და პასუხი გასცეს მათ კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში;

დ) განახორციელოს მოქმედი კანონმდებლობითა და ამ დებულებით განსაზღვრული სხვა ფუნქციები.

თავი IV. სამსახურის მართვა და საქმიანობის ორგანიზება

მუხლი 5.

1. სამსახურს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელიც არის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელე და რომელსაც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ქალაქის მერი.

2. სამსახურის უფროსი:

ა) წარმართავს სამსახურის საქმიანობას და ახორციელებს შესაბამისი სამსახურის საჯარო მოხელეთა საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობას;

ბ) პასუხს აგებს სამსახურისათვის დაკისრებული ამოცანების და ფუნქციების შესრულებაზე;

გ) განსაზღვრავს სამსახურის საქმიანობის ორგანიზებისა და დაგეგმვის წესს, ფორმებს და მეთოდებს, მოსამსახურეთა თანამდებობრივ მოვალეობებს, ანაწილებს ფუნქციებს მოსამსახურეთა შორის;

დ) მერს წარუდგენს წინადადებებს სამსახურის საკადრო საკითხებზე, მოსამსახურეთა წახალისების და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების, მათ მიერ მორიგი და დამატებითი შვებულების გამოყენების, სამსახურებრივი მივლინების, კვალიფიკაციის ამაღლების და სწავლების შესახებ;

ე) მერსა და საკრებულოს თავმჯდომარეს წარუდგენს სამსახურის მიერ მომზადებულ საკითხებს, წინადადებებს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს;

ვ) მერს პერიოდულად წარუდგენს ანგარიშს სამსახურის მიერ შესრულებულ სამუშაოთა შესახებ;

ზ) სამსახურის მოსამსახურეებს მათი ფუნქციონალური მოვალეობის შესრულებისათვის უქმნის აუცილებელ პირობებს. რეკომენდაციას უწევს კონფერენციებსა და სხვა შეკრებებზე მონაწილეობის მისაღებად;

თ) ორგანიზებას უწევს და აკონტროლებს სამსახურის მოხელეთა მიერ დაკისრებულ მოვალეობათა ჯეროვნად შესრულებას;

ი) იღებს გადაწყვეტილებებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ხელს აწერს ან ვიზირებას ახდენს სამსახურის მიერ მომზადებულ დოკუმენტებზე;

კ) წყვეტს სამსახურისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების გამოყენების საკითხებს და პასუხისმგებელია მათ მიზნობრივ ხარჯვაზე;

ლ) შეიმუშავებს და მერს წარუდგენს დასაბუთებულ წინადადებებს სამსახურის წლიური ხარჯების საკითხებზე და აუცილებლობის შემთხვევაში წარადგენს დამატებითი ხარჯების პროექტს;

მ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით და თავისი

უფლებამოსილების ფარგლებში ღებულობს გადაწყვეტილებებს განცხადების, მომართვის, წერილის ან/და სხვა საფუძველზე;

ნ) პასუხისმგებელია სამსახურის კომპეტენციის სფეროს მიკუთვნებულ საკითხებზე მოქმედი ნორმატიული აქტების და თვითმმართველი ქალაქის თანამდებობის პირების სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა დაცვასა და შესრულებაზე;

ო) ასრულებს საკრებულოს თავმჯდომარის სამართლებრივი აქტით ან დავალებით მინიჭებულ კონკრეტულ უფლებამოსილებებს;

პ) სამსახურის საქმიანობიდან გამომდინარე, ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობითა და შესაბამისი სამართლებრივი აქტებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს;

3. სამსახურის უფროსს ჰყავს მოადგილე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ქალაქის მერი.

4. სამსახურის უფროსის არყოფნის შემთხვევაში, მერის დავალებით, მის მოვალეობას ასრულებს სამსახურის უფროსის მოადგილე.

თავი V. სამსახურის ქონება და დაფინანსების წყაროები

მუხლი 6.

1. სამსახურის მთელი ქონება წარმოადგენს თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკუთრებას.

2. სამსახური საბიუჯეტო დაწესებულებაა, რომლის დაფინანსების ერთადერთი წყაროა თვითმმართველი ქალაქ რუსთავის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები.

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2011 წლის 6 აპრილის დადგენილება №77 - ვებგვერდი, 11.04.2011 წ.

თავი VI. ლიკვიდაცია და რეორგანიზაცია

(ამოღებულია)

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2011 წლის 6 აპრილის დადგენილება №77 - ვებგვერდი, 11.04.2011 წ.